



სამშაბათი

№ 391

გაზეთის ფასი:

წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნაშრომი ერთი შაური. **დამატებით 7 კ.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილწილად გადასადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კი დევნაწილად

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველად პეტით ღირს 15 კ., უანაგრადი სხვა ადგილებიდან კავკასიის ფარგლებში ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტით ტექსტის წინ 30 კაპ., უან 20 კაპ. გლოზიერა განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 სათ. ღირს 4 მ. 2 ს ა ა თ ს შემდეგ 5 მან.

სამშაბათი საკლავო და სალიბერატორო გაზეთი.

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

მარშაბათიდან, 27 ივნისიდან ნახევრები იქნება:

ცხოვრება წყითაიერია, ხელოვნება—უკვდავი.

ძლიერი დრამა თანამედროვე ცხოვრებიდან 4 ნაწილად, მონაწილეობას იღებენ საუკეთესო მსახიობნი: მოსტუხინისა და პანოვისა.

ხუმრობით სიუჟარული

კომიკური, გომონის ფაბრიკისა.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

მარშაბათიდან, 27 ივნისიდან ახალი პროგრამა.

ალმასის ნათლული.

თანამედროვე დრამა 3 ნაწილად ამბროზიოს სტუდიის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

გომონის პროსიპა მიმდინარე ამბები.

ფესბიშეკლა სიუჟარული.

მონაწილეობას ღებულაშენ პანოვისა, ლახაროვისა, მურომკისა და ლენინისა. სურათს დასდგამს ბ. ნ. სვეტლოვისა.

ქუთაისის ერთ-ერთი საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის რუსული ენის მასწავლებელი (ტომით რუსი) რჩება რა საზაფხულად ქუთაისში, ამზადებს მოწაფეებს

საშუალო სასწავლებლის ექვლა კლასებისათვის, სპეციალურად კი რუსულ ენაში.

მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, სახლი წინამძღვაროვისა.

ზირადად მოლაპარაკება საშუალებას 2—5 საათამდე. 8—3

მედიკი

გამრიგელ იოსების ძე გომიძის ელექტრონიკისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნერვებისა და გენერირულ ავთმყოფების მიღება დღის 9—12 საათ. საღ. სა. თ. 8-8

გუგია

მ. მ. კოსტრიჩიკა უკრის ყვავილს, უკეთეს ნესებს, ენმარება მშობიარეთ და აძლევს ავთმყოფთ რჩევა-დარიგებას ოველ დროს. ალექსანდრის ქუჩა, სვ. თუვდობის სახლი, ფილიპოვის მადანის მირდაში.

დოქტორი მელიციონისა

პრიატროცენტი

გ. ა. მონაშვილი

შიაღებს შინაგანი და ნერვების ვადამყოფობით სნეულებს დღის 8 ს. საშუალებას 2 საათამდე და საღამოს 6 ს. — 8 საათ. 2 ოსპიტლის ქუჩა № 6 თ.

კბილის ექიმი

ანან პარმენის ასული მანაშვილი 25 ივნისიდან მიიღებს ავადმყოფებს. სახლი ნესტორ კაკაუაშვილისა.

მედიკი

ა. მ. ასათიანი, რადიკანს სამსახურის გამა ქსენტიუში გააწიეს მინერალურ წყლის ჯგუფის ექიმად მან ავთმყოფების მიღება 1 ავგისტამდის შესწავლიტა.

მედიკი

ი. ჩარბოვი ქალაქ. საავთმყოფის ორდინატორი. და ბრუნდა და ბანახალა ავთმყოფების მიღება დღით 12 1/2—2 საათ. საღ. 8—8 საათ. შიაღებს მსოფლად კანასა და ვენერაულ ვაუთ შეთაფებს.

გამოცდილი მასწავლებელი

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ექვლა სასწავლებლისთვის ხელმისაწვდომ ფასებში.

მისამართი: ვაზ. „სამშობლოს“ რედაქცია.

ბოკჯოშვილი

ექიმი სიმონ ხაჩინოვი 25 ივნისიდან 25 მარტობისთვემდე მიიღებს ავთმყოფებს ბოკჯოშვილი (საყდრის ქუჩა № 98).

გსოფლიო ომი.

დაკრუვა.

ზუბალისი მთავარსადლის შტაბისა.

დასავლეთის ასპარეზი.

პეტროპოლი.

24 ივნისი. ქვედა სტრის დასავლეთით ჩვენ სასარგებლოდ ბრძოლა გრძელდება. გალუპოპტოვო ვოლრეკის მიდამოებში ჩვენმა ჯარმა ავ

იტანა იერიში და წაართვა ექვს დღეში ნი კრუპის ბატარეა, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე სროლა მოასწრო. ცოტა გვიან, მკაცრი ბრძოლის შემდეგ, ავიღეთ სოფლები. პომარაგრა და გრადი. ეხლან მღიბულ ცნობების მიხედვით, ჩვენ ცხენოსან ჯარს დაუპყრია რკინის გზის სადგური მანევიჩი და ერთი ოთხ დღეში ბატარეა და სამი მძიმე ზარბაზანი. კიდევ მდ. სტოხოლის სამხრეთით და მდ. ქვედა ლიხაზე საარტილერია და თოფის სროლა. გალიციაში გლიდკასთან მტერი მიწის ნაღმის აფეთქების შემდეგ წინ წამოსვლას ეცადა, მაგრამ მოვიგერიეთ. უკანასკნელ ცნობების მიხედვით, 22 სა და 23 ივნისს წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი უდრის 270 აფიცერი და 9900 ჯარის კაცს. გერჯერობით აღწერილია შემდეგი დავა: 29 ტყვისმფრქვეველი, 6 ყუმბარის მტყორცნელი, 3 ნაღმის მტყორცნელი 5000-ზე მეტი ვინტოვკა, შალონები მღელარე სითხით. კომპოზიციის ჩრდილო-დასავლეთით მტერი ენერგიულ შეტევაზე გადავიდა, მაგრამ მოვიგერიეთ. მდ. დენის ბრძოლის პირზე მკაცრი ბრძოლა. დენისკის სამხრეთით პოლსის მიდამოებამდე ზოგიერთ ალავას ხიშტებით ბრძოლის შემდეგ გერმანელებს წავართვი ნაწილი მათ მოწინავე თხრილებისა. გერმანელთა მედგარი კონტრივიზები გრძელდება.

ბარანოვიჩის აღმოსავლეთით მოწინააღმდეგე რამდენიმე უშედეგო იერიში მოიტანა. ჩვენმა ჯარმა, ანვითარებს რა მიღებულ წარმატებას ჩარტორისკის და სტორის დასავლეთით სოფ. გუდის აღების შემდეგ, მაშინვე ხიშტებით მხურვალე ბრძოლის შემდეგ დაიპყრო სოფ. დოლინიცა (კოლიმანევიჩის დიდ გზაზე) და სოფ. გრუზიატინი. კვლავ მოყავთ ავსტრიელი და გერმანელი ტყვეები. მდ. სტოხოლის სამხრეთით ბევრ ალავას მტერი ძლიერ სროლას აწარმოებს. ქვედა ლიხას ჩრდილოეთით არტილერიის ქარიშხალი სტუბური ცეცხლის დახმარებით შკლონის მიდამოებში მტერი წინ წამოსვლას ეცადა, მაგრამ მოვიგერიეთ; საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. გალიციის ასპარეზზე აქა-იქ საარტილერიო ბრძოლა. მონასტერისკის აღმოსავლეთით და მდ. კორაპზე ჩვენი ჯარი მტერს უკან ახევინებს. სოფ. საბლაკის (დელატინის აღმოსავლეთით) დასავლეთით ჩვენ ბრძოლის დროს მტერს პოხიცა წავართვი. დავატყვევეთ გერმანელები. ნაროჩის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით ძლიერი კონტრივიზი იერიში მოიტანეს და ნაწილი გუშინ და კარგულ თხრილებსა და იმბუნეს. ბრძოლა გრძელდება. ზემო ნემან პოლსისკის ბრძოლის პირის შესამჩნევ ნაწილში მძლავრი ცეცხლით ბრძოლა ბარანოვიჩის აღმოსავლეთით ძლიერი კონტრივიზის შემდეგ გერმანელებმა ოდნავ დაგვახვედრეს უკან. სოფ. ოდნოზინასთან ჩვენი არტილერიის შეგუფებულ სროლის წყალობით მტერი უკუვუქცოეთ.

შინიშნა.

ბარანოვიჩის მიდამოებში ლამის იერიშების დროს ჩვენი ტყვისმფრქვეველები ხშირად ეჯიბრებოდნენ გერმანელებისა და აჩუბებდნენ კიდევ მათ. უკანასკნელ ბრძოლებში ნამეტნავათ თავი იჩინა უფროსმა უნტერ-აფიცრმა ალოდამ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ თავში დაჭრილი იყო და ყუმბარების ნატეხებით კონტრუხია მიიღო, დარჩა ჯარში და დიდ ზიანს აყენებდა გერმანელებს.

ქვემო სტრისას მიდამოებში, ჩარტორისკის ნაწილის დასავლეთით, ჩვენი ჯარი მტერს სდევნიდა და მიადწია სად. მანევიჩ-ოკონოკ ზაგაროვკა-გრუზიატინის ხაზს. გუშინდელ ბრძოლის დროს პოლსისკის რკინის გზაზე სად. მანევიჩთან დაუბეჭვევეთ 750 აფიცერი და 2000 ჯარისკაცი. მტრის დენის დროს ყაზახებმა ცხენდაცხენ შეუტეს მტერს, მრავალი ავსტრიელი აკუწეს, 600-მდე და-

ტყვევს და ხელთ იგდეს 5 ზარბაზანი, 5 ტყვისმფრქვეველი და სამი შებმული სატყვისმფრქვეველი ნაწილი. კვლავ მოდის დიდი რიცხვი ტყვეებისა. დავლათ გერმანელებს სახელის საწყობები და იარაღი. ახლან მღიბულ ცნობებით, ჩვენ და ვიპყრეთ სოფ. ლიხაზე და გრევა (გოროლოკის ჩრდილოეთით, მდ. სტოხოლიდან ათი ვერსის მანძილზე). ზემო სტოხოლის სამხრეთით და გალიციის ზემო ნაწილში მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა და სოფ. დუბოვიცკის მიდამოებში ბრძოლა გრძელდება. მონასტერისკის აღმოსავლეთით ჩვენი ჯარი სოფ. გრეგოროვში შეიჭრა და 1000 კაცი დაატყვევა.

მდ. კორაპეკის პირზე ძლიერი სროლა და ავსტრიელი-გერმანელთა კონტრივიზები. სოფ. მიკულიჩის (ლატინის და კორასმოვოს შუა) მიდამოებში მტერმა რამდენიმე კონტრივიზი მოიტანა, რომელიც მოვიგერიეთ. მდ. დენის ბრძოლის პირზე სროლა. ნაროჩის სამხრეთ დასავლეთით ბრძოლა წყნარდება; გერმანელთა უკანასკნელ კონტრივიზებს მდგომარეობა არ შეუცვლია. უფრო სამხრეთით ალავალავ საარტილერიო ბრძოლა. ბარანოვიჩის ჩრდილო-დასავლეთით მტერი წინ წამოსვლას ეცადა, მაგრამ მოვიგერიეთ.

კავკასიის ასპარეზი.

ბაიბურთის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ზემო ქოროხზე კვლავ წინ წაიწია.

ჯეფინიკის მიდამოებში 22 ივნისს, გათენებისას, ოსმალითა საგომობი ძალები არტილერიის დახმარებით იერიშით გვეკვეთნენ ჩვენ პოხიცებზე და ჩვენ თხრილებში შემოვივდნენ, მაგრამ ჩვენმა ჯარმა ხიშტებითა და ყუმბარებით განადევნა მტერი. ორი შემდეგი ოსმალითა იერიშები მოგერიებულ იქნენ. ჩვენი საგრების წინ 300 მეცდარი ოსმალი დავთვალეთ, იქვე გაფანტული იყო ბევრი თოფი და სხვა იარაღი. ბაიბურთის აღმოსავლეთით ჩვენმა ჯარმა სროლით შეუსუსტა მიწინააღმდეგე, რომელსაც მედგარი, მაგრამ უშედეგო იერიშები მოჰქონდა. ჩვენმა ჯარმა წინსვლა განაგრძო და აიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი სიმაგრეთა; ამისთან დავატყვევეთ 4 აფიცერი და 120 ასერი; დავლათ დავგრა ტყვისმფრქვეველი, ბევრი იარაღი, ტყვია და საკავშირო მასალა.

ლოდონი.

25 ივნისი. მთავარი ბინის ცნობა საფრანგეთიდან. გერმანელებმა ჩრდილოეთისაკენ დაიხიეს ინგლისელებმა დაატყვევეს 800 კაცი სხვა და სხვა პოლკისა. შუალდისას ინგლისელებმა იერიში მიიტანეს სოფ. კონტალმეზონზე, მაგრამ გერმანელებმა ძლიერი კონტრივიზით უკან გამოდევნეს. გერმანელთა ზარალი დღეს დიდი უნდა იყოს, რადგანაც უკან რომ იხვედნენ ინგლისელთა არტილერია მათ უშენდა. ამას გარდა ინგლისელები უშენდენ გერმანელთა რეზერვებით სავსე სოფ. ბენენტენს. გერმანელ ტყვე აფიცერს უთქვამს, ჩემი ბატალიონი ბრძოლაში ჩასაბმელად მიდიოდა, ამ დროს პავროპოლიდან მკაცრი სროლა აგვიტეხეს, ამას ზედ მოჰყვა ინგლისელთა შორს მსროლელი ზარბაზნების მოქმედება, რომლის მიზანიც ჩემი ბატალიონის განადგურება იყო. მთელი დღის განმავლობაში წვიმა მოდიოდა, რამაც ნიადაგი დააბოთ თხრილები წყლით გაავსო და ჯარის მოქმედება ცუდ პირობებში ჩაავლო.

პარიზი.

24 ივნისი. საღამოს ოფიციალური ცნობა მდ. სომის ორივე მხარეს საყურადღებო არა მომხდარა რა. მდ. უაზასა და ენის შუა ლამე გერმანელები თავს დაესხნენ ფრანგებს, მაგრამ ვერა გააწყეს რა. მდ. მასის მარჯვენა ნაპირზე საკმაოდ ცხოველი ბრძოლა იყო დღის განმავლობაში. ტომონის სიმაგრეთა მი-

დამოებში გერმანელებმა საარტილერიო სროლის შემდეგ რამდენჯერმე მიიტანეს იერიში ფრანგთა პოხიცებზე. ერთერთ იერიშის წყალობით გერმანელებმა ხელთ იგდეს ნაწილი ფრანგთა თხრილებისა, მაგრამ ფრანგებმა კონტრივიზით უკან დაიბრუნეს. ეს თხრილები ტომონის სიმაგრეთა ახლო არის, სხვა იერიშები ფრანგებმა ტყვის მფრქვეველებით მოიგერიეს. გერმანელებს დიდი ზარალი უნახავთ. მედგარი საარტილერიო ბრძოლა გრძელდება სუვილის ჩრდილოეთით და ლოფეს მიდამოებში. დანარჩენ ასპარეზზე ჩვეულებრივი სროლა.

მარჩი.

24 ივნისი. ბელგიის ოფიციალური ცნობა. ნიუპოტთან ახლოს და რამსკაპელე ნაცის აღმოსავლეთით საკმაოდ ცხოველი საარტილერიო ბრძოლები სწარმოებდა ბელგიელები კარგად უშენენ კვლავ დიტრახტერს და სტენსტრატეს. სტენსტრატე—ბუსინტეს ახლოს საღამოთი ხელის ყუმბარებით ბრძოლა გაჩაღდა.

უერნალ-გაზეთებიდან.

პარიზის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ ვერდენის მდგომარეობა გერჯერობით კვლავ სანუგეშოა და ამ მოკლე ხანში მის დახმობაზე ლაპარაკი უაზრობად უნდა ჩაითვალოს.

ინგლის გერმანიის ასპარეზზე მენტობენტთან სასტიკი ბრძოლა მომხდარა. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ინგლისელებს 600 ტყვე წამოუყვანიათ.

საფრანგეთში მოქმედ ინგლისის ჯარის წინააღმდეგ გერმანელებს ვერდენიდან და ლასინიდან ახალი ჯარები გადმოუყვანიათ.

ბულგარეთის ჯარის ერთ ნაწილში გადამდები სენი გაჩენილა.

ბერლინის მთავრობის განკარგულებით, ბელგიაში მამაკაცებს 15-45 წ. აკრძალათ 12 საათის მეტი სახლის გარეთ ყოფნა იმავე მთავრობის განკარგულებით, ბელგიაშიდან ჯარში იწვევენ ახალგაზღვებს 18 წ. დაწყებული 40 წლამდე.

სვეიცარიაში მიღებული ცნობით, „გეტენს“ და „ბრესლაუ“-ს 100-მდე ყუმბარა გამოუსვრიათ. „გეტენს“-მა სოქისთან ჩასძირა ორი გემი; „ბრესლაუ“-მ ტუპსესთან ჩასძირა რამდენიმე იალქნიანი გემი და ერთი „კატერი“.

სირიასა და სოფიაში ინგლის-საფრანგეთის ჰაეროპლანებს ყუმბარები ჩამოუყრათ. დაზიანებული რამდენიმე სახლი.

ცნობილ სტრატეგს და სამხედრო მწერარს მაიორ მორატს ბრძოლის ველზე გერმანიის მდგომარეობა მეტად საშიშრად მიაჩნია. იგი მოუწოდებს ყველას ძალის მოსაკრებად და შემომსევ მტრის უკუსავდებლად.

„რუსკ. ვედ.“ გადმოცემით, გერმანელთა საპოხიკო სიმაგრეები სამი ხაზისგან შესდგება. ერთი ხაზის გარდევის შემდეგ წინ გელოდება მეორე და მესამე, რომელიც იმ გვარადვე არის გამაგრებული, როგორც პირველი.

იმავე გაზეთის ცნობით, ამ მოკლე ხანში რუსეთის ასპარეზზე გერმანელები დიდ შემოტევას დაიწყებენ.

„რუსკ. ინვალიდი“ სწერს: ბრძოლის მასტაბში თანდათან ფართოვდება და გერმანია ყოველ ფრონტზე მოგერიებით ბრძოლაზე გადავიდა.

აღმოსავლეთის ასპარეზი. ბარანოვიჩის აღმოსავლეთით ბრძოლა გრძელდება. ჩარტორისკის დასავლეთით რუსებმა მანევიჩი-გრუზინის ხაზს მიადრეკეს...

პავსანის ასპარეზი. 22 ივნისს გათენებისას ოსმალი ჯივილიყის მიღამოებში რუსებს თავს დასხმია და რუსების თხრილებში შეჭრილან...

დასავლეთის ასპარეზი. გერმანელები ლოოსთან მდებარე ინგლისეთა სანგრებს ზარბაზნებს უშენენ. ინგლისელების წინსვლა ვერ ვითარდება...

იტალიის ასპარეზი. ალაგ-ალაგ იტალიელები წინ მიიწევენ.

„პრაიტი. ვესტნი.“ სიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ მტერი, თითქმის ყოველ ფრონტზე თავდაცვითი ბრძოლაზე გადავიდა...

„რუსკოე სლოვო“ ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ასპარეზზე ავსტრიელები დაუძლურდნ და თავის მთავარი ძალები ვალიციაში გადმოიყვანეს...

რუსებმა კოველზე შეტევა დაიწყეს. ბარანოვიჩის გასარღვევად რუსებმა სასტიკი ბრძოლა გააჩაღეს. გერმანელებმა დიდი ამაოქმედეს რეზერვები...

უნგრეთისკენ მიმავალი პირდაპირი გზა რუსებმა ხელში ჩაიგდეს. რუსის სამხედრო ავტორიტეტები ამტკიცებენ, რომ ნ კვირის განმავლობაში რუსის ჯარმა ავსტრო-უნგრეთის ისეთი ზონი მიიყვანა...

კრევა-სმორგონის მიმართულებით დიდი ბრძოლა დაწყებულია. ბარანოვიჩთან გერმანელებს ახალი ჯარები მოსვლიათ და შემოტევა დაუწყიათ.

„დილუ ქონიკი“ სწერს: საჭირო არ არის სიხარულს მივცეთ, თუ დღეს ყოველ ფრონტზე ჩვენ შეტევას ვაწარმოებთ, და ვგვონია, რომ გერმანია დიდ განსაცდელშია. ვინ უწყის, ხვალ რა საშინელი კატასტროფა მოგვივა, რადგან გერმანელთა ევებრთელთა ფრონტი ვერ კიდევ გაურღვევია...

ვილჰელმს უთქვამს: ჩემთვის არავითარი პარტიები არ არსებობენ და არც მწამს პარტიობა. ჩემი ღეროთი და პარტია—ეს გერმანია და მისი კეთილდღეობაა.

პრუსიის სარწმუნოებათა მინისტრმა ებრაელ მასწავლებელთა შესახებ კანონი გამოცა. ამ კანონის ძალით, ებრაელები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღებიან მასწავლებლებად თუ ქრისტიან მასწავლებელთა რიგები სავაობა არ იქნება.

„მორნივ პოსტი“ სწერს: გერმანელები საუბრეობდ და არაჩვეულებრივს თავგანწირვით იბრძვიან. როცა ბრძოლას აგებენ, მაშინ თავის ტყვისმფრქვევლებთან იკლავენ თავს და მტერს არ უფარდებიან.

ინგლისური გაზეთი გადმოგვცემს, თუ როგორ აქვთ გერმანელებს მოწყობილი თავის თხრილები. გერმანელებს მიწაში აქვთ არტილერია და ტყვისმფრქვევლები ჩამალული. როდესაც ინგლისელები შეტევაზე გადავდნ და წინ წაიწევენ, ამ

როს მიწიდან ამოძვრებიან გერმანელები ინგლისის ჯარს ზურგიდან მოეცევიან და ტყვისმფრქვევლებს დაუშენენო. აი, ამ გარემოებით ხნის ინგლისური გაზეთი ინგლისის ასპარეზზე ოპერაციის დაგვიანებით სვლას.

ავსტრიის განათლების მინისტრმა ნებადართო უკრაინელებს გახსნან ქ. ლოვოვიში თავისი საკუთარი უნივერსიტეტი.

ბელგიიდან გერმანელებს დიდძალი ჯარი გამოუყვანიათ და სხვადასხვა ასპარეზზე გაუგზავნიან.

იტალიანდის ნაპირებთან შეუნიშნათ გერმანელთა ცეხილინი, სრულიად ახალი სახისა.

სამხედრო მიმოხილვა

ბალონის შახაის ბოლო.

ბოლო ხნის მთავარ სარდლის შტაბის ცნობები ეხება მთელ ასპარეზზე მოქმედებას. მთელ აღმოსავლეთის ასპარეზზე დღეს წვრილი, მკაცრად ხშირი ბრძოლები წარმოებს. ორივე მხარის მოქმედება ერთნაირი ხასიათისა. მცირე საარტილერია მოშაღების შემდეგ, ქვეითა ჯარი უტევს მკაცრად მოწინააღმდეგეს და თუ სძლია, ქვეითა ჯარს ცხენოსანი ჯარი წამოხმარება და მტრის დევნის გაგრძელებას სცდილობს.

ასეთს ბრძოლებს ადგილობრივი ხასიათი აქვს და არავითარ შემთხვევაში ნაწილად დიდი შეტევისა არ ჩაითვლება. ლაპარაკი რუსების გრანდიოზულ შეტევის გაგრძელებაზე ამ შემთხვევაში არ შეიძლება. თუ ერთა ალაგას რუსებმა წაიწიეს წინ, სამაგიეროდ გერმანელებმაც შესძლეს ზოგიერთ პუნქტს ხელში ჩაგდება.

ჩარტორისკის და რაფლოვკის დასავლეთით რუსებმა წინ წაიწიეს გერმანელებმა ბარანოვიჩის დაპყრობით უბასუხეს. ხოლო დვინის ბრძოლის პირზე და სამხრეთით პოლისი-ემდე გერმანელები ქარიშხლისებურ საარტილერია ცეცხლის შემწეობით ახერხებენ რუსთა სანგრებში დროებით შეჭრას.

უპირატესობა აქამდის კიდევ რუსების მხარესაა. მაგრამ იგი თანდათან მცირდება და რამდენიც დრო გადის იმდენი ბრძოლა საერთოდ ყუზდება. გერმანელებს ამჟამად არ შეეძლო ან და არა სთვლიდნენ საჭიროდ დახმარებოდნენ ავსტრიელებს, შეეგუებოდათ ჯარი გალიციაში და რუსების შეტევისთვის ფართო შეტევივ ებასუხნათ. მხოლოდ რუსების წინსვლის შესაჩერებლად უფრო ჩრდილოეთით, ჯერ ოგინის არხზე და შემდეგ სტირ-სტოხოდის შუა ჩ. აქვს დიდ ბრძოლებში რუსები. ამას მოჰყვა გერმანელებისთვის აქტიური მოქმედება ბარანოვიჩთან და დვინაზე. ამაირად, როგორც ეს ჩვენ წინასწარ აღვნიშნეთ, საუკეთესო ხერხი გერმანელები გალიციის შეტევის შეჩერებისა უნდა ყოფილიყო ბრძოლის ასპარეზის გაფართოება ჩრდილოეთით და რუსის ძალთა დაქაასკვა დღეს ადგილობრივ რუსების მოქმედება მიზანს აღწევს, ოდნავ წინ

იწევენ ისინი და ახარალებენ გერმანელებს, მაგრამ მოწყობრი საერთო შეტევა კი აღარ სწარმოებს.

შეგრედი.

რუსული პრესა.

მემარჯვენეთა გაზეთი „გოლოს რუსი პროგრესული ბლოკის“ შესახებ სწერს:

„გაიფლას დრო, ევკლაფური დაეწეებს მიეცემა, მაგრამ ასტორია შეინახეს სათაბაროს სესიის ანგარაში, სხადე მრავალსა და სხვადასხვა სახელმწიფოს წინაშე დალატა ჩაადინა და სსსტეე სსსამარდოს გადსცემს“...

საყურადღებოა, თუ რა ლალატს სწამებენ მემარჯვენენი პროგრესული ბლოკის. იმას, რომ მათ წინაშე მონურად ქედი მოიხარა?!

შეიძლება... ქვეყანა ქრელია.

მუთანი 28 ივნისი.

შავი ქვის მრეწველობა „სახელობა ფურცელი“ (იხ. № 609) „შავი ქვის მრეწველობა საბჭოს“ დამცველის როლში მეტად საცოდავი რამ არის.

მისი მაგიერად, რომ არსებითად გვიპასუხოს, ჯგუფურ გადაცილება და გადამტრებებს გვემუცებს, საბჭოს კი გუნდრუქს უქმევს. საბჭო რომ არ ყოფილიყო, ქიათურაში წვრილი ქართული მრეწველები არ იქნებოდნენ, შხანებს, მაგრამ, სამწუხაროდ, არა სცოდნია, რომ ქიათურაში დღეს ქართული მრეწველის, არც მსხვილისა და არც წვრილის, თითქმის ქაქანებაც არ არის.

საბჭომ შეაკავშირა, შეანაწევრა წვრილი მრეწველები. მაგრამ ვისღა შეაკავშირებდა, როდესაც შესაკავშირებელი აღარაინ არის?!

საბჭომ დააარსა სამკურნალო, სასწავლებლები და სხ. და, მაშასადამე, დიდი ღვაწლი მიუძღვისო, გვეუბნება. კი, მაგრამ ამისთვის ხომ მინცადამინც დიდი ნიქი და დიდი ენერჯია არ იყო საჭირო.

საბჭო გიორგი ზდანოვიჩმა შექმნაო. მაგრამ მაშინდელს ქართველ მრეწველებს საბჭოს შექმნის საჭიროება იმდენად შეგნებული ჰქონდათ, რომ, გიორგი რომ ვერ ეშვოვან, სხვას მოიწვევდნ და შექმნიდნ ამ სასარგებლო დაწესებულებას.

სამწუხაროდ, გ. ზდანოვიჩმა მათი იმედი ვი ვერ გაამართლა, ქიათურის მემანდენე ვი ვერ შეაკავშირა და ვერ შეანაწევრა, ამ დიდ ეროვნულ საქმეს გულგრილად მოეკიდა და ამით ქართველების მიწა წყლის უტხოვლების ხელში გადასვლას ხელი შეუწყო.

ბევრი რამ გვაქვს კიდევ სათქმელი, მაგრამ ამ ჟამად ესეც კმარა.

დასასრულ, გვიკვარს, „სახელობა ფურცელი“ რომ „საქართველოს“ რედაქციას სამხედრო მიმართავს, რატომ ბაქოელს ქართულ კაპიტალისტებს არ სურს ქიათურის მანდენი შეიძინონო. თითქო ეს „საქართველოს“ რედაქციას იყოს და მოკიდებული

სამწუხაროდ, „სახელობა ფურცელს“ მისამართი შეშლია: ამ საქმის გამოსწორება და მოგვარება სწორედ „შავი ქვის მრეწველობა საბჭოს“ საქმეა, რადგან ამ საკითხში მისი გავლენა და კომპეტენცია მეტია, ვიდრე სხვისა ვისამე, როგორც ვისაც „შავი ქვის საქმეებს“ საქმე ხელში უჭირავს, პასუხის გარეშე სტოვეთ და უბრალო ლიტერატურულ ამხანაგობას პასუხს აგებინებთ? სად არის სამართალი?!

ჩვენი ფიქრით, პირიქით, საბჭო მოვალეა გერმანელთა ყოველი მანდენის ქართული ამხანაგობის ხელში გადაქვას ხელი შეუწყოს და ამით თავისი ძველი ცოდვები გამოისყიდოს.

არ შევცდეთ!*)

მსოფლიო ისტორიის დაკვირვება გვარწმუნებს, რომ ხშირად ერის ცხოვრებაში დგება ისეთი ხანა, როცა ერს არ ესმის თავისი როლი, არა აქვს გამორკვეული ისტორიული მომენტის მნიშვნელობა და ამიტომ მისი მოქმედება ხშირად უნაყოფოთ მიდის და მიზანს ვერ აღწევს.

სხვა ერთა ისტორიაშიც ყოფილა ასეთი. ჩვენ დღის უბრალებით ვამტკიცებთ ამ საკითხს და სიამოვნებითაც დავსტამბავთ ყველას წერილს, რომელიც მოიხილვება ამ საკითხის გაშუქება-გარკვევას.

თი შემთხვევები და ჩვენი ისტორიაც იძლევა ამის მაგალითებს. წინაპართა შეცდომა უფრო ადვილი შესაძინებია, ვინც საკუთარი შეცდომა. მეცნიერმა სთქვა: „წმუის ასნს მომავალს ეკუთვნის“ (ключ настоящего принадлежит будущему); მართლაც, ყოველივე იმას, რაც დღეს ხდება, მომავალი ასნის, დაავსებს და მსჯავრსაც დასდებს; ჩვენ ვიცით ჩვენი წინაპრების შეცდომა და ვიცხავთ მათ, მაგრამ ჩვენ შეცდომას კი ვერ ვამჩნევთ და ვერც ვაცუობთ მომავალი რა მსჯავრს დაგვდებს.

ისტორიის მნიშვნელობა, სხვათა შორის, ისაა, რომ წარსულის შეცდომა და გვანახოს და აწმყოსი თავიდან აგვაშოროს, რომ, ამრიგათ, უკეთესი მომავალი შეიქმნას. თუ გვესმის ჩვენი როლი და ცხოვრებაში ჩვენს მოვალეობას ვასრულებთ, უნდა ვეცადოთ საზოგადო მომენტის აწონდაწონაში და მის ასე თუ ისე მოგვარებაში არ შევცდეთ; თუ საღი გონებით ვხელმძღვანელობთ, უნდა გვესმოდეს დღევანდელი მომენტი რას გვიკარნახებს და სწორი ცხოვრების საქე საით არის მიმართული ამ თვალსაზრისით თუ შევხედეთ ყოველივე მას, რაც ცხოვრების სინამდვილემ თვალ წინ გადაგვიშალა, მაშინ არ შევცდებით და ჩვენი მოქმედება ნამდვილ მიზანთან შესაბამებულ იქნება.

სწორედ ამ თვალსაზრისით შევხედოთ დღევანდელ მორავ საკითხს—ქიათურის მამულების შექმნას. ეს მამულები ჩვენი იყო, გერმანელების ხელში გადავიდა, ხოლო დღეს ისევ იყიდება.

დიდი შეცდომა მოუვიდა ჩვენ მამაპაპთ, რომ მირსკის მამული (ამ ეამთ ანანოვის) ხელიდან გაუშვეს; დიდი შეცდომა მოუვიდათ, რომ ქუთაისი რკინის გზის მთავარი ლიანდაგის გარეშე დასტოვეს. ასეთი შეცდომა ბევრია და მათი გასწორება დღეს შეუძლებელია, მომავალში კი ვასწორდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ ცოტა მოკალინეობასა და ენერჯიას არ მოითხოვს.

დიდი შეცდომაა ისიც, რომ ქიათურის მანდენი უტხოვლთა ხელში გადავიდა. რისი შედეგა ეს და ვისი ბრალია—ეს სულ სხვა საკითხია რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც მოხდება, ერთგვარი პირობების შედეგი იქნება აქაც მებატრონეთა შეუხებლობა იყო მიზეზი, ნივთიერი განსაცდელი, ინტელიგენციის უხიერიობა, სხვა რამე, თუ ყველაფერი ერთად—ეს დღეს სულ ერთია, რადგან დღეს არც ვასამართლება და არც წარსული ისტორიული მომენტის გამოკლევა ჩემი საუბრის საგანი არ არის. მე დღეს საერთო ყურადღებას ვაქცევ იმ შემთხვევას, რომ მსოფლიო ომმა ბევრი რამ შესცვალა, ბევრი შესწორება შეიტანა წარსულის მოქმედებაში, აქაც და სხვაგანაც—სხვათა შორის გამორკვევა, რომ უტხოვლ ფირმას აქ ადვილი არ ჰქონია, საჭირო ყოფილა ადგილობრივი ძალა აღორძინდეს და თვითმოქმედება გაფართოვდეს აი დღეს მოულოდნელათ შესაძლებელი შეიქნა, რომ ჩვენი ხელიდან წასული ძვირფასი მამულები ისევ დავიბრუნოთ.

წარსულის გასწორება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი კი არ არის. აი, სწორეთ დღეს გაჩნდა ეს შესაძლებელი გარემოება და უსათუოდ უნდა ვისარგებლოთ; უნდა ავასრულოთ ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა, უნდა მოვიხადოთ ეს ვალი ისტორიის წინაშე და ამით შევქმნათ საუკეთესო მომავალი; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაივლით დიდ დანაშაულს, დანაშაულს, რომელიც წინააღმდეგ გადაპატივებს! და არაბრამ—უწინ ამ საქმის გარემოება ბევრს არ ესმოდა, დღეს კი გვესმის, უწინ გამორკვეული არ იყო ღირავება ამ სიმდიდრის, დღეს კი საუბრით გამოარკვეულია, უწინ ნელ-ნელა და შეუმჩნევლათ, თანდათან გადავიდა ეს ქონება უტხოვლთა ხელში, დღეს კი სწრაფათ და ნამცხვადვე ჩაურღვბა ხელში სხვას. დიხს, დღეს ჩვენი სიხუმე, უკან დაწევა და სახელდახელო გარემოების გვერდის ავლა სწორეთ მომავლინებელი ცოდავა იქნება და მომავალი თაობა დაგმობს ჩვენს მოქმედებას; ისტორია აღნიშნავს ჩვენს დაუდევრობას.

ვერ ვიტანთ ამას, ვერ მოვიხოთ ამ ჩირქს. ვეღარ ვასწორებენ ჩვენ შეცდომას.

ეს მამულები უნდა შევიძინოთ ერთი მიტომ, რომ ეს ჩვენი ქონება მძიმე პირობების შეგვადენითაა დაკარგული, მეორე—ეს წყაროა დიდი სიმდიდრის და

ადგილობრივი წარმოების ერთი ქუა, თხევადი დღესაც და მომავალშიც შავი ქვია, იგი უსაკიროესი პირობაა ჩვენი ეკონომიური აღორძინებისთვის. ჩვენს წინაშე მდებარე სხვის ხელში ჩაიჭრდა ჩვენი გვიდგება უარესი ხანი, ვინც დღეს ამას უტხოვლმა პატრონმა წაიღო ეს მამული და მებატრონე შეე მუშათ გადააქცია, ესეგი ნივთიერთ დაგვიმორჩილა, ახალი პატრონი ამ სიმწარეს მეორეს დაუბატეს—უფლებრივ შეგზღუდავს და ნივთიერ ძალას პოლიტიკურ იარაღათ იხმარს. მდგომარეობა აუტანელი იქნება და სწორეთ ცუდი მომავალი ვაიქვდება.

ეს მამული რომ სომეხებმა წაიღონ, ჩვენი ურთიერთ დამოკიდებულება კიდევ უფრო გამწვავდება და ისეთი ატმოსფერა შეიქნება, რომელშიც დაუსრულებელი ტრავედიაა მოსალოდნელი.

დაიარღვევა ერთგვარი ნორმალური მიმდინარეობა, აღმოცენდება შუღლი და მტრობა, შეიქნება სახიფათო ვნებათა ღლევა, რასაც სამწუხარო გამანადგურებელი შედეგა მოყვება; ეკონომიური ბრძოლა ეროვნულ ელფერში ვაგხვევა, რაც კატასტროფით დასრულდება.

ამაში შორს გამჭკრეტი და სოციალური წესიერების მომხრე სომეხიც კი სრულიად დამეთანხმება.

ექვს გარეშეა, რომ ქიათურის მამულების შექმნა ჩვენ უნდა ვეცადოთ; ამ საკითხზე ორი პასუხი შეუძლებელია და ერთი ისაა, რასაც მოვასხენებთ.

როგორ შევიძინოთ?

შევიძინოთ ქართული ამხანაგობის დასრულების საშუალებით. ამ ამხანაგობაში უნდა შევიდეს ყველა, ვისაც შეუძლია, განურჩევლად წოდებისა, პროფესიისა, სქესისა და პოლიტიკური შეწყნისა, რადგან ამ ამხანაგობის იდეა მეტათ ფართოა და ყოველი მოქალაქისთვის ზნეობრივთ საფუძვლებულია. თავდაზნაურობამ გაითვალისწინოს, რომ 3/4 ამ მამულების მისი ყოფილი საკუთრებაა და დღეს მამულის შესყიდვაში უპირატესობაც მისია. ამის დასაბუთება ადვილია და ამხანაგობის შანსი ძლიერდება. ვაქართა წრეც კარგათ წარმოიდგინოს, რომ გარდა ეროვნული იდეისა, რომელსაც ის ემსახურება, საუკეთესო საწარმოო ასპარეზი კაპიტალისტის ეს მამულებია და მათზე გაჩაღებულ მრეწველობა, ამიტომაც კაპიტალი უზრუნველყოფილია. ყოველმა მოქალაქემ, თუნდ წვრილმა მესაკუთრემ შეიგნოს, რომ მისგან შეტანილი ფული საამხანაგო თანხაში აკეთებს საერთო საქმეს, რომელიც დაუმრეტელ ნივთიერ წყაროთ გარადექცევა მთელს ერს. ამ საქმეში მონაწილეობის მიღება და ფულის გამოღება, გარდა კვრთა სარგებლობისა, იქნება საერთო საქმის გამაგრება. ეს დებულება ამხანაგობის წვერთათვის მცნება უნდა იყოს. ეს ამხანაგობა იქნება მანევენელი როგორც ჩვენი ნივთიერი აღორძინების, ისე ზნეობრივი და მოქალაქობრივი გამაგრებისა.

მე მოვალე ვარ ამ ამხანაგობაში სიამოვნებით წევრთ შევიდ, დღესვე მზათ ვარ შესაფერი მოვალეობა მივიღო და ვემსახურო მას, რითაც კი შემიძლია.

იმედი მაქვს, სხვაც თავის სურვილს გვაქნობებს. საქმის მოწყობა საქართაო.

ტრაფონ ჯაფარაძე.

ახალი ამბავი.

მუთანი 28 ივნისი.

ამ ეამათ აქ იმყოფება სპეციალისტი (პალიოლიტი, რომელიც კუთის იარაღებს იკვლევს) ს. კრუკოვსკი. მას უნახავს გამოკვებული ადგილები წყალ-წითელისა და ყვირილის ნაპირებზე; ზოგიერთ გამოკვებულ მისი ყურადღება მიუქცევია და ამიტომ სოფ. რანაწი ამ დღებში იწყებს მუშაობას. კრუკოვსკი თავის გამოკვლევას აცნობებს ადგილობრივ საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას, რომელთანაც მას მოლაპარაკება აქვს დღიდან აქ ჩამოსვლისა.

ამას წინად პეტროგრადაში დაატუსაღეს სტუდენტი მუხან ხოკოლაია. ახლად, როგორც „ახალ კვალს“ ატყობინებენ, ხოკოლაია ციმბირში გადაუსახლებია.

ამ ზაფხულს დ. ბორჯომში სახლობ მასწავლებელთათვის ექვს კვირული საგარანოოი კურსები მოეწყობა.

ქ პეტროგრადაში ცნობილ მწერლის და საათობროს დეპუტატად ნამყოფი

ვის აწ განსვენებული კოლა ლომთათი-ძის (ს. მკირიშვილი) მეგობრებს გადაუწყვეტიათ რუსულ ენაზე გამოსცენ მისი ნაწერები. გამოცემას და ახლო რედაქტორობას გაუწყვეს რუსის მწერალი მ. გორკი.

კვირას, 26 ამ თვეს, უკვე გამგზავრენ ტიპოგრაფიის სამკურნალო მცენარეულთა შესახებ.

ქუთაისის საგუბერნიო აგრონომია ინსტრუქტორებსა და რეგისტრატორებს უკვე დაურეგისტრირა ნაწილი ჯამბიკისა და დაგზავნა სოფლად სტატისტიკური ცნობების შესახებ.

ქუთაისის გუბერნიის თავდაზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ო. ნიკარაძე ესენტიუს ვაქცინაციის საეპიდემიო.

სამხრეთკავკასიის ბოტანიკი გავრილოვი თბილისიდან ბაქოშია წაყვანილი.

სოფელ ნაგარევის ღვთისმშობლის სახელობის ბატონი მამის ბურჯანაძეს, რომელსაც ამ ორი კვირის წინ გაძარცვეს, შემდეგი შინაარსის წერილი მიუღია შანტაძისგან: «გირჩენიათ გამოაწვეთ, ვინც თქვენ დააპატიმრებთ და ტყვეობა ჩვენს მაგივრად იტარებდნენ, თორემ ტრაპეზში შემოვიტყობთ და მოგკლავთ».

სოფ. გულეკარის (სენაკის მაზრა) მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს ქუთაისის გუბერნატორის წინაშე ნებადართოს გახსნან სოფელ გულეკარში მომხმარებელთა საზოგადოება «იდეალი».

როგორც უკვე ვთქვამდეთ, სოფელ გულეკარში ახლა კურსშია ანტიფლემის ანაბაზი. ხანდახან თანხმობით გაიშარებენ წამლებსა და მკურნალებს.

1) «ორთეს ბუნებრივად» 2) მკ. დ. კლდია-შვილისა, 3) «უფრო დიდი» 1) მკ. ვლადკო-პაქინაძისა, 3) დაიკურთხებინა მონასწაფილად წასწავლი ახალგაზრდა. ინტერტემში დაიკურთხა სტრუბანო ორკესტრი და ახალგაზრდის ზონის. დასასრულ გაიშარებენ გვიგამისა და დაიკურთხა 11 სათხე. ბავშვები ზამთარ ფასეში იყავნენ. ბუფეტა ჩვეულებრივ ფასეშია. იქნება ს. სოფელისა ასეთ ახალგაზრდს საქმეს თანაგრძნობით შეხვდები.

სოფელ ქალსთავში ერთ ცულ მოვლენას ჰქონია ადგილი. რალა პირადი ინტერესებისათვის მთელი ეს სოფელი მიტოვებულია საქმეში გაყოფილია ორად და დაუღვენიათ, რომ განსვენებაში ერთი ჯგუფი მეორეს არ მიეკაროს. საქირთა საქმეში ჩაერთო ვინმე და სოფლის, ეს 2 მოწინააღმდეგე ჯგუფი შეარჩია.

ქუთაისის ქართული გიმნაზიის ექსკურსანტები სამი დღეა, რაც თბილისიდან კახეთისაკენ გაემგზავრენ! სოფელ დიდ გეზათის (სენაკის მაზრა) მცხოვრებლებმა გიორგი გოგავამ, ბესარიონ ნადარევიშვილმა, ივანე მიქაძემ, თედორე ჯობლიძემ და ბესარიონ შუბლაძემ შუამდგომლობა აღძრეს ქ. გუბერნატორის წინაშე ნებადართოს მათ გახსნან სოფელ დიდ-გეზათში სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

როგორც ვიცით, სამურნეო-სასწავლებლის გამგე ბ. შარაშიძის დაავალეს ეყიდა ქ. გუბერნიაში ტყემლის ტყლაპი ფუთი 20 მანათად, ახლა კი, როგორც ვაგვიტყობ, დღეში მიუღია თბილისიდან, რომ უტემლის ტყლაპის ყიდვა სომხებს აუღიათ იჯარით ფუთი 18 მანათად. ბ. შარაშიძე ამ დავეშაძლიერ შეაწუხა, რადგანაც ის რამოდენიმე პირს უკვე გაუჩივდა და სოფლად გაუშვა საპატრონი.

20 ამ ივნისის სოფელ ნაგარევიში მოხდა ყრილობა ახლად დაწყებულ ბანკის შესახებ. ასარჩევი იყვნენ გამგეობის წევრები. აირჩიეს შემდეგი პირები: თავმჯდომარეთ-მღვდელი სამსონ ბურჯანაძე. მის თანამშრომელ ბატ. სიმონ კანდილაკი. დირექტორათ ბ. გიორგი ბერიძე, მის თანამშრომელ ბ. პლატონ პატარიძე ვეპილათ. მისიკო წერეთელი და მწერალთ ბ. ალ. ბურჯანაძე.

გუბერნიის განცხადება. «სამშობლოს» სამას ოთხმოცდა მერვე ნომერში, 6. ნიკოლაის დიპლომის ბოლოში, ერთი კორექტურული შეცდომა შევნიშნეთ. უნდა დაბეჭდილიყო ასე: «რაც შეეხება ჩემს ნალაპარაკებს ქუთათურ ვეპილების ოთახში ბ. ზნანოვიჩის თაობაზე, იმასაც მოგახსენებთ: მე იგი ვხსენებ როგორც თ. პროკოფი შარაშიძის ხელმძღვანელი.» ამ სტრიქონების შუა ნაწილი ასე ცუ-

დათ გამოსულა: «იგი ბ. ზნანოვიჩის თაობაზე, იმასაც მოგახსენებთ: ვახსენებ.»

გილოდინი არ გაბაიტიდა.

რომში შეტყობილ დიპლომატთა «ბაზარზე», სადაც თხოვეული სახელმწიფოს თუ რესპუბლიკის დიპლომატი იტალიასთან დიდ ოსტატურ ვაჭრობას აწარმოებდა, რათა იტალია ბრძოლის ველზე მის მომხრეთ გამოეხსენებინა, გერმანიის დიპლომატია «დამარცხდა».

გასულ წელს დიდათ სასიხარულო დღე გაუთენდათ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთ (ინგლის-საფრანგეთ-რუსეთ-იაპონია). ამ დღეს შეთანხმების სახელმწიფოებში დღესასწაულობდნენ არა მარტო იმ ფაქტს, რომ იტალიის სამთავრო მათ მომხრეთ გამოვიდა და თავის ისტორიულ მოკავშირე ავსტრო-უნგრეთ გერმანიის ზურგზე შეტეკა, არამედ იმ უღიღეს ფაქტს — გერმანიის გამოქცეულ-გამოქცეულ დიპლომატიას ოთხთა შეთანხმების დიპლომატიის «გამარჯვება»-ს.

რომში დიპლომატიურ გამარჯვების შემდეგ, შეთანხმების სახელმწიფოთ ღრმად სწამდათ, რომ იტალიის სამთავრო ომს გამოუცხადებდა შეთანხმების წინააღმდეგ მებრძოლ მთელ კოალიციას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა.

იტალიის სამთავრო ომი გამოუცხადა ავსტრო-უნგრეთის მონარქიას და შემდეგ რამდენიმე რყევისა დიპლომატიური დამოკიდებულება გასწყვიტა ბულგარეთ-ოსმალეთთან.

მხოლოდ შეთანხმების სახელმწიფოთ უღიღეს მტერს — გერმანიას — არა თუ ომი გამოუცხადა, არამედ დღემდის მასთან მეგობრულ განწყობილებას განაგრძობს, თვით ბრძოლის ველზე იტალიას დღემდის არავითარი თვალსაჩინო რეზერვების ღირსი არ გაუტყობია, პირიქით, მის ბრძოლის ასპარეზს ხავსი მოეღო და უშუალოდ ღობის ასპარეზად იქცა... ისროდნენ ავსტრიელები ერთ თოვს, ამას ფორმისთვის იტალიელები უპასუხებდნენ, მხოლოდ შეტევას ორივე მხარე ერიდებოდა.

რასაკვირველია, «შეტევა»-ს ავსტრია იმიტომ ერიდებოდა, რომ მას სხვა ასპარეზზე ჰქონდა ცუდათ საქმე, მხოლოდ მოლაპარაკებების საშუალებით სიძულვილი დიდი იყო და ვენის მთავრობა დროს უცდიდა, რომ გაიძვირა პაპის ქვეყნისთვის შესაფერისად მიეზღო. ასეთი დროც დადგა. ამ თვე ნახევრის წინდ, როდესაც ავსტრიამ საშინელის სისასტიკით შეუტია იტალიას, იტალიამ ვერავითარი ბრძოლის ნიჭი ვერ გამოიჩინა და უკან დახვევას განაგრძობდა, რომელ უკან დახვევაც გვირგარბაღლის ქვეყანას დიდ საფრთხეს უშინებდა, რომ ამ დროს ავსტრიის მთავარი ყურადღება გალიცია ბუკარესტის ასპარეზისკენ არ მიექცია. ამ როგად, იტალია ისევ რუსების შეტევამ იხსნა მხოლოდ თვითონ არაფერი შესძლებია იტალიის, მაგრამ ეს ასე არ არის.

იტალია საოცრად უფრთხილდება თავის სამხედრო ძალებს. ის რალა უფრო საშინელ დროს ელის... სწორედ ამ მიზეზით იყო, რომ იტალიამ ბულგარეთ-ოსმალეთის წინააღმდეგ ერთი თოვით არ გაიხრია იმ დროს, როდესაც იტალიის ძლიერ ფლოტს შეეძლო დიდი ზიანი მიეყენებია დარდნაწილისთვის და ბულგარეთის ზღვის პირა მდებარე ქალაქებისთვის, მაგრამ რა გვიანდარდნაწილ-ბულგარეთისკენ როცა იტალიის ფლოტი თავის ცხვირს წინააღმდეგობის ზღვაშიც კი არ იბრძვის.

იტალიამ არ შეუტრუღა თავის დაპირება ბალკანეთზე და სერბიაში საექსპედიციო კორპუსის გაგზავნის შესახებ, ერთი სიტყვით, ამ ომში იტალია ფორმალურად ბრძოლის ველზე გამოვიდა, მაგრამ თვით ბრძოლის მსვლელობაში, როგორც უკვე ვთქვით, არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

იმ დროს როდესაც სხვა მებრძოლმა სახელმწიფოებმა ბრძოლის ველს საუკუნოვან შეტევით მთელი ხაზინა შესწირეს, უამრავი ხალხი მიწყვეტეს და საშინლად გადატყველდნენ, იტალიის დიდ დროს გამოცხადებისა ნახევარი მილიონი დიდი არ დაუხარჯავს და მის სამთავროში სრულიად არა გრძობენ ცხოვრების იმ გაძვირებასა და განწელებას, რომელიც დღეს თავზარს სცემს მის ახალ მოკავშირეთ. და ყველა მერვე ეს რათ მოხდა?

ინგლის რუსეთში ეგნათ, იტალიამ ჯერ კიდევ ვერ მოიკრიბა ბრძოლისთვის საჭირო ძალა, არ არის მომზადებული რეგულარული ბრძოლისთვის საკმაოდ მოემზადება, მაშინ ავსტრიის წინააღმდეგ დიდ ბრძოლასაც დაიწყებოდა, მაგრამ თვე-თვეს მისდევს წყლის-წყლის წინააღმდეგ და ასეთი დროც კი არ სდებოდა: იტალია კვლავ ძველის გზით სიარულს განაგრძობდა.

ამ დროს იტალიაში მოხდა საყურადღებო ცვლილება. ძველ «ჯიუტ კაბინეტს» ვადადგომა და საინსტრუქტორის ჩამოფარდა.

აი, ამ ცვლილებაზე დიდ იმედებს ამატებდნენ შეთანხმების სახელმწიფოებში. ეგნათ, რომ ახლად შედგენილი კაბინეტი დიდ ნიჭს გამოიჩინებს და ისე მოიქცევა, როგორც ჩვენ ინტერესებს ეჭირვება და გერმანიას უთუოდ ომს გამოუცხადებს, მაგრამ მხოლოდნი არც აქ გამოართდა მართალია, იტალიაში ძველი ჯიუტი კაბინეტი აღარ მოქმედებს, მაგრამ რა უზიარტესობა აქვს ახლად შედგენილს, როდესაც იგი კვლავდაცულ ძველი კაბინეტის გზას მისდევს...

ამ როგად, დღეს შეთანხმების სახელმწიფოებში მეტად გაიხარდა უკმაყოფილება იტალიის წინააღმდეგ და თუ რა შედეგს მოიტანს ეს სამართლიანი უკმაყოფილება, ამას მომავალი დაგვანახებს.

ი. ანუქელი.

სოფლის მასწავლებელთა ცხოვრებიდან.

დღეს სოფლის მასწავლებელი დაბალი ლობია. ყველა, უფიცოც, ვისაც წერის საფორმელი აქვს, სოფლის მასწავლებლებს ეცემა — აგინებს, ამკრებს, ვინ იცის რას არ სწამებს. ნამდვილი მასწავლებელი კი ამას ყურსაც არ უზღვებს; თუმცა არა სიამოვნებს. ასეთ დაფასებას მისი შრომისას, ის თავის გზაზე მიდის, შრომის უღელს ეწევა; იცის, რომ მადლიერი მხოლოდ მომავალი იქნება და არა აწყო. ასეთი გარედან კიენი, თუ იგი გულითა და სულით მასწავლებელია, მას ხელს ვერ შეუშლის თავის წმინდა შრომაში. მაგრამ სულ სხვაა, როდესაც შინე, ოჯახშივე, უჩნდება მას მტერი. გარეშე მტერი კაცს ვერას დააკლვებს, კიდევაც გააფრთხილებს, მაგრამ თუ თავის ოჯახში აღმოუჩნდა მას მტერი, მაშინ კი მისი საქმე უკუღმა წავა.

სოფლის მასწავლებელი თუ სასოფარკვეთილებში ჩავარდა და თავის საქმეზე გული აიკრუა, ან სულ ხელი აიღო, ეს უშუალოდ შინაური მტრის საქმეა და არა გარეულის. ვინ არის ეს შინაური მტერი? ისევ მასწავლებელი. ეს ის მასწავლებელი გახლავს, რომელიც თვითონ ბევრს არასაკეთებს, სხვებს ამით სახელს უზღვენს და არავითარ საშუალებას არ დერიდება, მან თავის ამხანაგზე თუ იმიდროს, თავისი ამხანაგი დამტკიცოს, პირიქითა გაუთულოს და დამონაოს. ამისთანა საშუალებას ის ისეთ ამხანაგზე უფრო ხმარობს, რომელიც ყოველ შემთხვევაში მასზე მალა დგას და სარგებლობაც ვაქცილებით მეტი შეუძლია მოუტანოს სკოლას.

ასეთი სკოლის საქმისათვის მანვე პირები მოიპოვებინა დღეს უფრო ბ.ბ. «სმოტრიტელი»-ში. მოიპოვებინათქო, მოგვსენებო, მისთვის, რომ ეს ყველას არ შეეხება, დიდი უმეტესობა მათში პატროსნად ეწევა თავის უღელს და მათზე ცუდის თქმა ცოდვაა. მე მხოლოდ მოგახსენებთ იმ გამოჩენილს «სმოტრიტელზე», რომელთაც თავისი გაძრომ-გამოძრომით და სხვადასხვა ბნელ საშუალებებით უშოვით ეს ადგილი, მისთვის კი არა, წმინდა საქმეს პატროსნად ემსახურებს, ამხანაგური განწყობილება შექმნას მასწავლებლებში, არამედ მისთვის, რომ თავისი თავი რალა მალა ყოველის შემდეგ ჩინოვნიკად წარმოიდგინონ, რომელსაც მისი ქვეშევრდომნი საქმეებს უნდა უქმედდნენ და ხმა ამოუღებლად ასრულებდნენ ყოველ ნაირ მისი სულის კვეთებას.

უნდა მოგახსენოთ, მე ამისთანა პირებს კაცებად არა ვთვლი და მათი ამისთანა წარმოდგენა თავის თავზე სასაცილოთ არა მყოფნის; მაგრამ, წარმოიდგინეთ, ბევრი მშრომელი და პატიოსანი მასწავლებელი განიცდის ტანჯვას, იმისთანა პირებისაგან, და ბოლოს იძულებული ხდება — ან სულ თავი მიანებოს მასწავლებ-

ლობას და ან, თუ იგი მტკიცე ხასიათის არ არის, თვითონაც წახდეს ზნეობით. მე ვიტყვობდი ერთ მასწავლებელს, რომელიც მუდამ ჩიოდა (თავის ამხანაგებში, მთავრობის ემინოდა) სმოტრიტელი სიციფი მკლავსო, შეშის არ მალდესო, თუმცა შეშის ფულს კი იღებოდა და სხვა ასე ამისთანა გაქვირებასა და მოთმინებაში გაატარა ამ მასწავლებელმა როდენიმე წელი და შეეჩვია კიდევაც ამ გარემოებას. გაუღიმა ბედმა და თვითონაც შეიქმნა «სმოტრიტელი». როგორი სმოტრიტელი გამოვიდა იმისაგან, იცით.

ისეთივე, როგორი ვაგვეთილებსაც იღებდა, უწინდელ «სმოტრიტელისაგან». ერთმა მასთან მოსამსახურე მასწავლებელმა შემომტრია: მთელი ზამთარი უცეცხლოთ გამატრებიაო და მოშორდა მას კიდევაც.

პატივცემულმა მკითხველმა რომ არ იფიქროს, რომ ეს ჩემი ფანტაზია არის და ასეთი პირები არ მოიპოვება, ჩემ თავს ნება ვაძლევ მაგალითისათვის დავასახელო ერთი. სოფელ კულაში როდენიმე მასწავლებელი არსებობს, როგორც სავაჟო, ისე საქალებო. აქ არის დიდი ხნიდან დაარსებული ერთი ნომალური სასწავლებელი. ცოტა არის მთელ დირექტორში ასეთი უზრუნველყოფილი სასწავლებელი მატერიალური მხრით. იმის გარდა, რომ მას ხაზინა ინახავს, თითოეული კულაში მოწაფე იხდის სწავლის ფულს წელიწადში 6 მანეთს და გარეშე 12 მანეთს. ამის მიხედვით ეს სასწავლებელი მატერიალურად სხვებზე მაღლა სდგას...

თავს ბუზი ძალიან ეტანება და ამ სკოლის ზედამხედველობაც ბევრს ოცნებად ჰქონდა და აქვს გადაქცეული.

მაგრამ ეტყობა ამ სასწავლებელს ეს მატერიალური კეთილ-დღეობა? შეიძლება, თვით მის «სმოტრიტელს» ეტყობოდა და სკოლასაც ძალიან იოტა. ეტყობოდა და თითოთ საჩვენებელიც იყო წინად, როდესაც აქ ზედამხედველად იყო ბ. მკურნალი. მას შემდეგ ეს სასწავლებელი თანდათან უკან მიდის. უშუალოდ მასწავლებლები უნდა ყოლოდეს უფარგისნი, იფიქრებთ, მაგრამ ის მასწავლებლები, რომლებიც აქედან ძალიან თუ ნებინდ გადახვეწილან, სხვაგან ვარგისნი გამოდგებიან და კარგი მასწავლებლებიც არიან. მაშ, ვინ უნდა იყოს აქ მიზეზი?

უშუალოდ ის, ვინც სასწავლებელს განაგებს და მხოლოდ თავის მე-ს მალა აყენებს და სხვებს კი არა რად სოფლის და თუ რომელიმე მასწავლებელმა თვისი მე-ც წამოაყენა სკოლის კეთილდღეობისათვის, მას აქედან აძევებს, როგორც მანვე მასწავლებელს და ან იძულებულ ყოფს თვითონ მოშორდეს. ასე იყო მკურნალის დროს შემდეგ — შეშინიერი ბალი სკოლასთან რთხმელის ტყეთ გადაიქცა, ბავშვების ფიზიკურად სავარჯიშო ადგილი პირუტყვების საძოვრად გახდა. გიმნატიკის ძველი ბოძები მხოლოდ ძროხების მისამდებლად იმხარებოდა, მასწავლებლები ყოველს წელს იცვლებდნენ. ამ უკანასკნელ წლებში კი შერჩა ამ სასწავლებელში ორიოდე მასწავლებელი როდენიმე წელს. ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ მყოფი ზედამხედველი გრძობდა, რომ ისიც უნდა გამოეთხოვოს ამ სასწავლებელს. წარსულ წელში გამოიცვალა ძველი ზედამხედველი, მოვიდა ახალი ზედამხედველი ბ. კ-ძე. ყველა ამ თითქო სიამოვნებით ამოისუნთქა, ფიქრობდა, ახლა გაუმჯობესდება სკოლის საქმე. მაგრამ სკოლას ის დაემართა, რაც ერთ სოფელს მოუვიდა ძველი მეტრათმე მეწისქვილის სიკვდილის შემდეგ.

ახალმა ზედამხედველმა მოსვლისთანავე ხმა გაავრცელა, რომ ის იმდენი გავლენის მქონეა, რომ მთელ რაიონში ვისაც უნდა დააყენებდნენ უნდა გააგდებდნენ. ბევრი კიდევ დააჯერა მან. ან კი რატომ არ უნდა დაეჯერებიათ, როდესაც მისი სიტყვით, კულაში სასწავლებლის რაოდენიმე მასწავლებელი საღალატე უღდგოლო ადგილს უნდა გადაეყარა მთავრობას, მაგრამ ამან იხსნა ისინი. ამის შემდეგ ვინდა შეგადრებდა რასმე მას. ყოველი თავისი სასწავლებლის საკითხებზე რაიცა სკოლის სამკლს უნდა გადაეწვიტა, მან თვითონ დაისაკუთრა და სხვების ხმა საქირით აღარ სცნა. სასწავლებელში,

უფროს განყოფილებებში, კვირაში ოთხი კაცივითი ჰქონდა დათმობილი გიმნატიკას. ამისათვის სასწავლებელი იხდის თავის საშუალებებიან წელიწადში 10 მანეთს ბ. კ-ძემ ეს ვაგვეთილი თავისი უფლებით მოსო, ფულსაც კი ათასობით ბისაკენ გაამგზავრა და სხვ. როდესაც შენიშნა, რომ მასწავლებლებმა გაუბედეს ამავთში შეკითხვა, მაშინ მან მოინდომა ამ მასწავლებლების თავიდან მოშორება, საშუალებაც იხმარა, მაგრამ მთელი წელიწადი გადის, ვერ მოიშორა, თუმცა დარწმუნებული კია თვითონ წაუღენ ან ის იძულებულ ჰყოფს მათ... მისის დამღვეს, როდესაც კანიკულები დადგა ბ-ძემ მატერიალური კეთილდღეობა ცხად თავის ქვეშევრდომ მასწავლებლებს: «მე საავარკოთ მიმდევარ; და თქვენ ეყენისთვემდის; ე. ი. ჩემს დაბრუნებამდის სახლის ქირას (რომელიც თვითონ ეძლევა მასწავლებლებს) ვეღარ მიიღებთ.» როდესაც მასწავლებლებმა გაუბედეს, რომ ამ აუტანელ სიძვირეში მათთვის შეუძლებელი იქნება ცხოვრება, თუ ესეც ვეღარ აიღეს და სთხოვეს მიენდო მას ამ ფულის გამოწერა ხაზინიდან რომელიმე მასწავლებლისათვის, რომელიც კულიშივე სცხოვრობს, თუნდა საშუალო სკოლის მასწავლებლისათვის, მან უფრო მრისხანეთ ბრძანა: «მე არავის არ ვანდობ და თუ ძალიან მადლობელი არ იქნებით, იმ შემთხვევაში სრულიად მოგიხმობთ იმ სახლის ქირას. ახლა ხომ დაიჯერებთ, როგორი ჩინოვნიკი ბრძანებულა ბ. კ-ძე ერთი ხელის მოსმით ლამობს — მასწავლებელს წაართვას მკირე ლუკმა და თვითონ ავარაკებში ისეირნოს

დარწმუნებული უნდა ვიყენეთ, ამ ბ. კ-ძისთან «სმოტრიტელი» თუ ბევრი არა, ცოტა მაინც სხვაგანაც იქნება. და რათ უნდა იყოს!?

რა არის «სმოტრიტელი» დაბალი პირველ დაწყებითი სასწავლებლებისა? იგივე მასწავლებელი, რაც სხვები, მას მხოლოდ, როგორც ერთ მასწავლებელთან მინდობილი აქვს სასწავლებლის გამგეობა და ეს გამგეობა უნდა გამოიხატებოდეს იმაში, რომ მისი შეთავრებით ცდილობდნენ ერთად ყველა მასწავლებლები სასწავლებლის კეთილდღეობისათვის და მან. როგორც მეთაურმა, უნდა გადასცეს მთავრობას ყოველი სურვილი და დადგენილება მასწავლებელთა, რომელთა შორის მასაც ერთი ხმა აქვს. მაგრამ ჩვენ და საუბედროთ, ზოგიერთს ასე არ ეცმის. მათ ჰქონიათ თავისი თავი ისეთი უფლებით აღჭურვილი, რომლის წინაშე ყველა თავს უნდა იდრეკდეს. ჰქონიათ ასე იმიტომ, რომ გაუღდის და რატომ გაუღდისთ, ამაზე, შეიძლება, შემდეგ მოგახსენოთ.

დღეს მასწავლებელთა კავშირი ვაქვს, მგონი, მისი ვალია — მიექცოს ამას ყურადღება და ასეთი «სმოტრიტელები» თავის კალაპოტში ჩააყენოს.

რასაც მასწავლებელი მოქმედობს აშკარად თუ მალულად, ნურავინ ფიქრობს, რომ ის მოსწავლემ არ გაიგოს, მასწავლებლის ყოველ ცულ ყოფაქცევას, რომ დიდი გავლენა აქვს მოსწავლეზე, ახალი ქვეშევრდობა არ არის.

რაც უნდა უქადაგო მოსწავლეთ ზნეობაზე, თუ მქადაგებელი უზნეოა, მოსწავლეთ უზნეობას უფრო შეითვისებს, სანამ მის ნაქადაგებ ზნეს. ამისათვის მასწავლებელთა კავშირის მოვალეობას უნდა შეადგენდეს გააძეოს თავის წრიდან, ან გაასწოროს ისეთი მასწავლებელი, რომელიც თავისი საქციელთ სხვასაც სვრის.

აფიცვრთა კავშირის ტყუილად არა აქვთ დაკანონებული — თავისი წრიდან გამოირცხოს ისეთი აფიცერი, რომელიც არცხვენს მის წოდებას.

ასე უნდა მოვიქცეთ ჩვენც, თუ გვინდა დავიკვათ ჩვენი წმინდათაწმინდა და გარეშე პირს საბაბი არ ექნეს უკიენებდეს სოფლის მასწავლებელთ და ახველდეს სხვადასხვა ხალხის განათლების შემაფერხებელ მოქმედებაში.

მასწავლებელი.

